ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2968881

ნომერი: AR1459322

თარიღი : 25.11.2016

გაცემის თარიღი : 13.12.2016

გაცნობის თარიღი : 13.12.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ი. აბაშიძე , N 70 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12/10/2015 წლის №2233435 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 25/11/2016 წლის №AR1459322 განცხადება ამავე სამსახურის 12/10/2015 წლის №2233435 ბრძანების

ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 12/10/2015 წლის №2233435 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი (ვაკე), ი. აბაშიძის ქ. №70-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.027.014) შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 12/10/2015 წლის №2233435 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა და ღია ავტოსადგომების ფართობის - 1074.92 კვ.მ-ის დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 12/10/2015 წლის №2233435 ბრძანებაში მითითებულია ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:7437.87; რაც შეეხება, ღია ავტოსადგომის ფართობს, ის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არ ფიქსირდება და შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს 12/10/2015 წლის №2233435 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობის ცვლილების საფუძველს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და №2233435 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას.
აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.